გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №43

2023 წლის 10 ნოემბერი
ქ.გორი

„ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 18 აპრილის №22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1.
„ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 18 აპრილის №22 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 19/04/2023, 02008016.35.148.016753) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება:

ა) დადგენილების 1-ლი მუხლი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„მუხლი 1
საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ 55^2 მუხლით, 55^5, 55^6, 64^2, 77^1 და 77^2 მუხლებით, 82^5 მუხლით (პლასტიკის და ბიოდეგრადირებადი პარკების რეალიზაციის ნაწილში), 103-ე მუხლით, 119^1 მუხლით, 125-ე მუხლის მე-8 და მე-12–მე-16 ნაწილებით, 125^4 მუხლით, 134-135^1 მუხლებით, 146^1 მუხლით, 148-ე მუხლით, 150-150^1 მუხლებით, 151-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 151^2 მუხლით, 152-ე მუხლით, 152^2 მუხლით, 152^5-152^9 მუხლით, 153^3 მუხლის პირველი, მე-3 და მე-4 ნაწილებით, 153^4 მუხლით, 156^1 მუხლით, 158^5 მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებითა და 159-ე მუხლით, 159^1 მუხლით, 166^2 მუხლით, მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის განხილვის, საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენის და ადმინისტრაციული სახდელის დადების უფლებამოსილება მიენიჭოს ა(ა)იპ „გორის მუნიციპალურ ინსპექციას“ (ს/ნ 418481011) მიერ უფლებამოსილ თანამშრომლებს (შემდგომში – ინსპექციის თანამშრომლები).“.

ბ) დადგენილების 1^1-ლი მუხლი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„მუხლი 1^1
საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ 49-ე მუხლით, 51-ე მუხლით, 51^2 მუხლით, 51^3 მუხლით, 52-ე მუხლით, 53^3 მუხლით, 55-ე მუხლით, 55^3 მუხლით, 63-ე მუხლით, 64-ე მუხლით, 65-ე მუხლით, 66-ე-67-ე მუხლებით, 68-ე მუხლით, 71-ე მუხლით, 73-ე-76-ე მუხლებით, 82^5 მუხლით, 86-ე მუხლით, 127^1 მუხლის მე-5 ნაწილით, 145-ე მუხლით, 153^3 მუხლის მე-2 და მე-5 ნაწილებით, 173^{14} მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის განხილვის და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენის

უფლებამოსილება მიენიჭოს ა(ა)იპ „გორის მუნიციპალურ ინსპექციის“ (ს/ნ 418481011) მიერ უფლებამოსილ თანამშრომლებს.“.

მუხლი 2.
დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**